



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამთო და გეოინჟინერია“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

14.04.2022



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი ნინო

გვარი დონდოლაძე



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	სამთო და გეოინჟინერია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე ²	მეექვსე
4	კვალიფიკაციის დასახელება	სამთო და გეოინჟინერიის
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითებით ³	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	სამთო საქმე და მოპოვება, 0724
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი ⁵	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77, № 3 სასწავლო კორპუსი
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო 09.07.2021. გადაწყვეტილება № 694731
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 26 ივნისი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	6 თვე - 2021 წლის 27 დეკემბერი

¹ დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

² ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴ განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	7 წელი - 2028 წლის 26 ივნისი
----	-----------------------------------	---------------------------------

**საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით**

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	V			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		V		

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁶

საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითად არჩევით საგანთა ჯგუფი 1-ში სასწავლო კურსში” ქანების დანგრევა აფეთქებით” მოცემულია საკურსო სამუშაო/პროექტი -15 სთ, რაც კურსის სილაბუსში არ არის გაწერილი. გასათვალისწინებელია, რომ მოხდეს სილაბუსის თანხვედრა საგანმანათლებლო პროგრამასთან;

1. რეკომენდირებულია, თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგები წარმოდგენილი იქნას ცალ-ცალკე.
2. საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსი “სასწავლო პრაქტიკა სამთო და გეოინჟინერიაში” გაწერილია 120 საათი, ხოლო შესაბამისი სასწავლო კურსის

⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



სილაბუსში კი 75 სთ. გასათვალისწინებელია, რომ მოხდეს სილაბუსის თანხვედრა საგანმანათლებლო პროგრამასთან;

3. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
4. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მარეგულირებელი, სავალდებულო ერთიანი შიდა აქტი, რომელიც დეტალურად აღწერს შეფასების განხორციელების პროცესს.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბაკალავრიატის „სამთო და გეოინჟინერია“ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში წარმოადგინა 27.12.2021.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 9 ივლისის №694731 გადაწყვეტილებით სამთო და გეოინჟინერიის ბაკალავრიატის პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით. მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად განესაზღვრა 6 თვე, 2021 წლის 27 დეკემბერი.

რეკომენდაციების შესრულების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა 8 წევრისგან:

- ი.გ. - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
- თ.კ. - პროფესორი, დეკანის მოადგილე;
- გ.მ. - პროფესორი;
- დ.კ. - პროფესორი;
- დ.თ. - ასოცირებული პროფესორი;
- ა.გ.- პროფესორი;
- მ.ო.- ასოცირებული პროფესორი;
- შ.კ. - ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი.

სამუშაო ჯგუფი გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა საბჭოს მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებს, განიხილეს თითოეული მათგანი, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდა აკადემიურ საბჭოზე. შესაბამისი ცვლილებები მოცემულია „რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ“ ცხრილის აღწერით ნაწილში.

⁷ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



რჩევები⁸

1. სასურველია ჩატარდეს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა კურსდამთავრებულთა შრომითი უნარების დაზუსტებისთვის;
2. სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს იმ სტუდენტების ინტერესები, რომლებიც უკვე B.2. დონეზე ფლობენ უცხო ენას და აღნიშნულ სტუდენტებს დაწესებულებამ მისცეს შესაძლებლობა, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის (ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი) წარდგენის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ უცხო ენის სავალდებულო 4 სასწავლო კურსის სწავლებისაგან. ასეთ შემთხვევაში სტუდენტები სავალდებულო წესით გაივლიან მხოლოდ პროფესიული უცხო ენის სასწავლო კურსებს. რაც შეეხება უცხო ენის კომპონენტის დარჩენილ კრედიტებს, აითვისებენ პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების გავლით. ამ შემთხვევაში კი, სასურველია, სტუდენტებს დაწესებულებამ მისცეს შესაძლებლობა, უცხო ენისათვის გამოყოფილი, დარჩენილი კრედიტები, მათი სურვილის შემთხვევაში, დააგროვონ სხვა უცხო ენის შესწავლის ხარჯზე.
3. სასწავლო კურსის სილაბუსში “საბაკალავრო ნაშრომი სამთო და გეოინჟინერიაში” სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობებში სასურველია დაემატოს “წიგნზე/წყაროზე მუშაობა”;
4. სასწავლო კურსის სილაბუსში “სასწავლო პრაქტიკა” სწავლა-სწავლების მეთოდებში მოცემული მეთოდი „პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია“ მეტად შეესაბამება სასწავლო კურსს “საბაკალავრო ნაშრომი სამთო და გეოინჟინერიაში”. ხოლო აღნიშნულ სასწავლო კურსს „სასწავლო პრაქტიკა“ უფრო შეესაბამება სწავლა-სწავლების მეთოდი „პრაქტიკის ანგარიშის მომზადება და პრეზენტაცია“. სასურველია სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობის კორექტირება.
5. ელექტრონული სერვისების განვითარება, როგორც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასევე დაწესებულებისა თუ ფაკულტეტის ადმინისტრაციის სამუშაო პროცესის მენეჯმენტის უზრუნველყოფის მიზნით;
6. სტუდენტების მეტი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესახებ.
7. სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით, განახორციელოს დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი აქტების კოდიფიცირება, მასში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რათა დაინტერესებულ პირებს ერთიან აქტში ჰქონდეთ მოქმედი მარეგულირებელი ნორმების გაცნობის შესაძლებლობა;
8. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე უნივერსიტეტში მოქმედი ყველა შიდა რეგულაციის საბოლოო, მოქმედი რედაქციის განთავსება სტუდენტების, პერსონალისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობის მიზნით.

⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)



9. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გარე შეფასების პროცედურებისა, განახორციელოს პროგრამის გარე შეფასება ისეთი პროცედურების მეშვეობით, როგორც არის განმავითარებელი შეფასება, მოწვეული ექსპერტების მიერ პროგრამების შეფასება და დასახოს სამოქმედო გეგმა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისათვის.

10. აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობა შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის;

11. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა პირს;

12. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ელექტრონული პლატფორმის არსებობა, სადაც ერთიან სივრცეში იქნება თავმოყრილი პროგრამის მონიტორინგისა და შემდგომი განვითარებისათვის საჭირო მექანიზმების განხორციელების საშუალებები. კერძოდ, როგორც სტუდენტებსა და პერსონალს, ისე დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ ელექტრონულად შეავსონ კვლევისათვის საჭირო სპეციალური კითხვარები, რაც თავის მხრივ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გაუადვილებს სამუშაო პროცესს, ხოლო შეფასებას გახდის ობიექტურსა და მეტად სანდოს.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელმა სამუშაო ჯგუფმა გაიზიარა აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 9 ივლისის №694731 გადაწყვეტილებით მიღებული რჩევების გათვალისწინების საჭიროება, რომელთა რეკომენდაციებთან ერთობლიობაში შესრულება ცალსახად პოზიტიურად აისახება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებაზე.

ამასთან, წარმოდგენილი რჩევების შესრულების პროცესი დაიწყო მყისიერად და მიმდინარეობს გეგმიური შედეგებით, რაც საანგარიშო 6 თვიან პროცესში ვერ დასრულდება. გარდა ამისა, რეკომენდაციებისა და რჩევების შინაარსის ურთიერთმიმართება, რიგ შემთხვევებში არის მჭიდრო კავშირში და რეკომენდაციის შესრულება პირდაპირპროპორციულად აისახება კონკრეტული „რჩევის“ შესრულების ხარისხზე.

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

⁹ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰ საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში



რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება ¹²	სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება ¹³	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია I ¹⁴	საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითად არჩევით საგანთა ჯგუფში ¹ -ში სასწავლო კურსში” ქანების დანგრევა აფეთქებით” მოცემულია საკურსო სამუშაო/პროექტი -15 სთ, რაც კურსის სილაბუსში არ არს გაწერილი. გასათვალისწინებელია, რომ მოხდეს სილაბუსის თანხვედრა საგანმანათლებლო პროგრამასთან;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. გასწორდა ხარვეზი სასწავლო კურსში”ქანების დანგრევა აფეთქებით”, ჩაემატა საკურსო სამუშაოს თემატიკა.
რჩევა ¹⁵ I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	სასწავლო კურსი “ქანების დანგრევა აფეთქებით” სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 3

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია II ¹⁶	რეკომენდირებულია, თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგები წარმოდგენილი იქნას ცალ-ცალკე.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. სწავლის შედეგები კონცენტრაციისათვის გაიწერა ცალ-ცალკე
რჩევა ¹⁷ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამთო

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹² სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³ კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	და გეოინჟინერია“ და სწავლის შედეგების რუკა; სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი.
--	--

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანი- ზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია III ¹⁸	საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსი “სასწავლო პრაქტიკა სამთო და გეოინჟინერიაში” გაწერილია 120 საათი, ხოლო შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში კი 75 სთ. გასათვალისწინებელია, რომ მოხდეს სილაბუსის თანხვედრა საგანმანათლებლო პროგრამასთან;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. გასწორდა ხარვეზი სასწავლო კურსში“ სასწავლო პრაქტიკა სამთო და გეოინჟინერიაში”, საგანმანათ- ლებლო პროგრამასთან თანხვედრაში მოვიდა პრაქტიკის საათები (120 სთ.).
რჩევა ¹⁹ III	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	სასწავლო კურსი “სასწავლო პრაქტიკა სამთო და გეოინჟინერიაში”; სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №3.

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1. შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია IV ²⁰	რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. მომზადდა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სამთო და გეოინჟინერია“ სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის ანგარიშის შესაბამისად გამოიკვეთა პროგრამის სწავლის

¹⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი
(რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა
გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁰ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი
(რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>შედეგების მიღწევისათვის გასათვალისწინებელი სასწავლო კურსები, აქტივობები და კვლევითი კომპონენტები. აკადემიური მოსწრების ანალიზისთვის მივმართეთ კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში (ECTS) შემუშავებულ სტუდენტთა რანჟირების სკალას.</p> <p>მიღებული შედეგების შედარებით, აღმოჩნდა, რომ აკადემიურ მოსწრებაში არ გამოკვეთილა ნიშანდობლივი ხარვეზები, აკადემიური მოსწრების რეალური მაჩვენებლების ტანდარტული ნორმალური განაწილების დიაპაზონებისგან დიდად გადახრილი არ არის.</p> <p>გამოვიყენეთ ასევე შეფასების არაპირდაპირი მეთოდი: სტუდენტების მიერ თვითშეფასება. სტუდენტებმა გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ (მიაღწია; ნაწილობრივ მიაღწია; სუსტად მიაღწია; ვერ მიაღწია).</p>
რჩევა ²¹ IV	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<p>სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების რუკა; სტუდენტების თვითშეფასების რუკა; სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში.</p>

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია V ²²	<p>უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მარეგულირებელი, სავალდებულო ერთიანი შიდა აქტი, რომელიც დეტალურად აღწერს შეფასების განხორციელების პროცესს.</p>
შეფასება	<p>რეკომენდაცია შესრულდა.</p> <p>უნივერსიტეტში შემუშავებულია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს #01-05-04/261, 2019 წელი 23 სექტემბერი), რომლის მიხედვითაც პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირია პროგრამის ხელმძღვანელი.</p>

²¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²² საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>„სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ“ აკადემიური საბჭოს მიერ #01-05-04/63, 08.11.2021 წ. მიღებული ახალი დებულების თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია კომპეტენციის ფარგლებში წარმართოს პროგრამის დაგეგმვა/შემუშავება/განხორციელება/განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები და ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარადგინოს თვითშეფასების ანგარიში, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამის შეფასების განხორციელების პროცესი.</p>
რჩევა ²³ V	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<p>აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის #01-05-04/261 დადგენილება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი“.</p> <p>„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ“ აკადემიური საბჭოს #01-05-04/163, 08.11.2021 წ. დადგენილება.</p>

თანდართული დოკუმენტაცია²⁴

ექსპერტის ხელმოწერა

²³ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁴ თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა